



ევროკავშირი
საქართველოსთვის

CPR PROJECT
Care Prevention Rights



უსაფრთხო
საკლუბო
ცხოვრება

ფსიქოაქტიური ნივთიერებების
ერთდროული მოხმარება

აღკოჭოლი+ჰალუცინოგენები

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მომზადებულია საზოგადოებრივ გაერთიანება „ბემონში“

ალკოჰოლი+ჰალუცინოგენები



ჰალუცინოგენები ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკიდურესად არაპროგნოზირებადი ჯგუფია. ძნელია იმის წინასწარ განსაზრვრა, თუ როგორ იმოქმედებს ერთი და იგივე ჰალუცინოგენი სხვადასხვა ადამიანზე. მათთან ერთად ალკოჰოლის მიღება ზრდის მოულოდნელ ნეგატიურ შედეგებს.

ლიბერგინის მჟავას დიეთილამიდის (LSD), ჰალუცინოგენური სოკოების ან ნებისმიერი სხვა ტიპის **ჰალუცინოგენის მიღებამ ალკოჰოლთან ერთად შეიძლება გამოიწვიოს**: გულზიდვა და ღებინება, დაღლილობა, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, გულისცემის გახშირება, კრუნჩხვები, სხეულის ტემპერატურის მომატება.

ალკოჰოლმა შეიძლება ასევე გაზარდოს "ცუდი მოგზაურობის" ალბათობა; გააძლიეროს ნეგატიური გრძნობები, როგორცაა დეპრესია და შიში, რამაც შეიძლება ჰალუცინაციები უფრო დამთრგუნველი და საშიში გახადოს.

ჰალუცინოგენი - ნივთიერება, რომელიც ცნს-ზე ზემოქმედების გზით იწვევს გუნება-განწყობისა და აღქმის ცვლილებას ილუზიებისა და ჰალუცინაციების წარმოქმნით. მიეკუთვნება შემდეგი ფსიქოაქტიური ნივთიერებები: ლიბერგინის მჟავას დიეთილამიდი (LSD) და სხვა სინთეზური ჰალუცინოგენები (ფენციკლიდინი – PCP), ჰალუცინოგენური სოკოები, მესკალინი (შეიცავს მექსიკური კაქტუსი პეიოტი), დისოციაციური ნივთიერებები.

დისოციაციური ნივთიერებები - ცვლიან გარემომცველი სამყაროს აღქმას და იწვევენ ცნობიერების ნორმალური ფუნქციონირების დარღვევას. ისინი ამახინჯებენ ხმის და ვიზუალური გამოსახულების აღქმის ხასიათს და იწვევენ გაუცხოების განცდას, რეალობისგან მოწყვეტას - დისოციაციურობას.